

რელიგია და თვითმკვლელობის რისკი ონკო-პაციენტებში

ქეთევან ჯაფარიძე
სტუ-ს დოქტორანტი

ლია მეტრეველი
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

ადამიანის რწმენა ან სულიერება აძლევს მას საშუალებას გაუმკლავდეს დაავადებას და მოიპოვოს უფრო ღრმა სახის შინაგანი განკურნება. გამკლავება სხვადასხვა ადამიანისათვის სხვადასხვა რამეს ნიშნავს: ეს შეიძლება ნიშნავდეს პასუხების პოვნას იმ კითხვებზე, რომლებსაც ავადმყოფობა აჩენს, ან შეიძლება ნიშნავდეს ნუგეშის ძებნას იმ შიშებისა და ტკივილის დასაამებლად, რომლებიც თან ახლავს ავადმყოფობას, ეს ასევე შეიძლება ნიშნავდეს მიმართულების პოვნის სწავლას ავადმყოფობის დროს. რელიგიურ სწავლებებს შეუძლია დაეხმაროს ადამიანს იბრძოლოს ყველა ამ განზომილებაში.

ზოგჯერ, როდესაც მკურნალობა უშედეგოა, სულის ან საფუძვინველის განკურნებამ შეიძლება უზრუნველყოს ღრმა და მდგრადი შინაგანი კომფორტი. რელიგია დიდი ხანია აქცენტს აკეთებს ამაზე, როგორც მის მთავარ მიზანზე. სულის ან საფუძვინველის განკურნება ნიშნავს ცხოვრებისეული ფასეულობების ამოცნობას და მათი რელიგიის სწავლებებთან ან რწმენის საფუძვლებთან შესაბამისობაში მოყვანას.

კიბოთი დაავადებულ პაციენტებს ძალიან ხშირად ეუფლებათ უიმედობა და სამწუხაროდ თვითმკვლელობაზე იფიქრონ.

აღბათ გასაკვირი არ არის, რომ არსებობს ფაქტორები, რომელმაც შეიძლება გაზარდოს კიბოს პაციენტის მიერ თვითმკვლელობაზე ფიქრი.

საყურადღებოა და აუცილებელიცაა უიმედობის ან თვითმკვლელობის აზრების მიზეზების დასადგენად, ონკო პაციენტებში.

თვითმკვლელობის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია სიმსივნით გამოწვეული სიმპტომების კონტროლი და კიბოს მკურნალობა.

კიბოთი დაავადებული პაციენტები ხშირად უიმედობას გრძნობენ. არსებობს არაერთი გზა, რომელთა საშუალებითაც ს ექიმს შეგვიძლია პაციენტის დახმარება, ასევე დიდია რელიგიის როლი და მისი ძალა, განსაკუთრებით აღნიშნულ შემთხვევაში.

RELIGION AND RISK OF SUICIDE IN CANCER PATIENTS

Ketevan Japaridze
PhD student, GTU,
Lia Metreveli
Professor, GTU

RESUME

A person's faith or spirituality enables them to cope with illness and gain a deeper kind of inner healing. Coping means different things to different people: it can mean finding answers to the questions that the illness raises, or it can mean finding comfort in the fears and pain that accompany the illness, or it can mean learning to find direction in the midst of illness. Religious teachings can help a person to strive in all these dimensions.

Sometimes, when treatment fails, healing the soul or the soul can provide deep and lasting inner comfort. Religion has long emphasized this as its main goal. To heal the soul or soul is to recognize the values of life and bring them into line with the teachings of religion or the foundations of faith.

* * * *

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რა როლს ასრულებს რელიგია და სულიერება ჩვენთვის ზემოთხსენებულის მნიშვნელობის განსაზღვრაში, უნდა ვიკითხოთ სხვა ადამიანების ცხოვრების უფრო დიდი მნიშვნელობის შესახებ. შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, რომ ცხოვრებაში ადამიანის წარმატებულობას მთლიანობაში თავისი წვლილი შეაქვს მის მიერ დაავადებასთან წარმატებულ ბრძოლაში. თუმცა, ჩვენ შეიძლება გავიჩინდეს კითხვა, აქვს თუ არა აზრი ადამიანის ევოლუციის (ფიზიკურის, გონებრივის და მორალურის) წარმატებას, რადგან კაცობრიობა მაინც ვერ გადაურჩება ჩვენი მზის სისტემის საბოლოო დაღუპვას. დაეუშვათ, რომ არსებობს გარკვეული სფერო ან მიზეზი ევოლუციის შიგნით ან მის მიღმა. მშვენიერია. მაგრამ, ამას რომ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, რაღაცასთან ხომ უნდა იყოს დაკავშირებული? სწორედ , აქ იწყება კითხვების სერია, სადაც ყოველთვის შეგვიძლია ვიკითხოთ უფრო დიდი რეალობის შესახებ, რასთანაც რაღაც აზრობრივად არის დაკავშირებული. არსებობს რაიმე საბოლოო რეალობა, რომელიც საბოლოოდ აძლევს აზრს ყველაფერ დანარჩენს?

ეს არის იმ ტიპის კითხვები, რომლებიც რელიგიის, რწმენისა და სულიერების ცენტრშია. რწმენის ყველა სისტემა აღიარებს მნიშვნელობისა და ღირებულების ტრანსცენდენტურ წყაროს ადამიანთა სამყაროს მიღმა. სერიოზული ავადმყოფობის ან კრიზისის დროს, ჩვენ დიდი ალბათობით მივემართებით ნუგეშის, შევებისა და აზრის საპოვნელად; შინაგანი ძალის გამოსანახად, რომ გადავიტანოთ ავადმყოფობა, ფიზიკური და ემოციური გამოწვევები.

რელიგია აღწერს როგორც ამ სარწმუნოებების სისტემების შესწავლის ფორმალურ სფეროს, ასევე, უფრო კონკრეტულად, სარწმუნოებების ორგანიზებულ გაგებას, რომელიც საზიარო ადამიანთა ჯგუფებისათვის. დასავლური რელიგიური ტრადიცია მოიცავს - მაგრამ არ შემოიფარგლება - იუდაიზმს, ქრისტიანობას და ისლამს. აღმოსავლური რელიგიური ტრადიცია მოიცავს - მაგრამ არ შემოიფარგლება - ბუდიზმს, ტაოიზმს და ინდუიზმს. თითოეული რელიგიური სისტემა ემყარება რწმენათა ბირთვს, რომელიც ხშირად გადმოცემულია ძველი ტექსტების ერთობლიობაში და რომლებიც ავტორიტეტულად და წმინდად ითვლება. ყოველივე ეს აერთიანებს მოცემული რელიგიის ღირებულებებსა და სწავლებებს, რომლებიც წარმოადგენს პასუხების წყაროს ბევრ ღრმა ადამიანურ კითხვაზე.

სარწმუნოება ხშირად გულისხმობს ინდივიდის რწმენებს, რომელიც არის რელიგიის ერთ-ერთი ფორმალური სისტემის მიმდევარი. თითოეულ ჩვენგანს, ვაცნობიერებთ თუ არა ჩვენ ამას, გვაქვს გარკვეული რწმენა. ჩვენ შეიძლება გვწამდეს პიროვნული ღმერთის ან ღვთაებრივი შემოქმედის (ანუ ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყარო, აამოქმედა და შემდეგ მართო დატოვა იგი). ეს რწმენა შეიძლება იყოს დაწერილი ფორმალური სისტემური თეოლოგიის სახით ან შედგებოდეს მრავალი განსხვავებული რელიგიური სწავლების ნაწილებისგან. ეს პირადი რწმენა ხშირად ღრმა და ქმნის ემოციური და სულიერი სიძლიერის საფუძველს, როდესაც საქმე ეხება კრიზისს, კიბოს და განსაკუთრებით სიკვდილს.

სულიერება არის კავშირი, რომელსაც ბევრი ადამიანი გრძნობს ღმერთთან ან რაღაცასთან, რაც ჩვენს მიღმაა, მაგრამ არა ტრადიციული რელიგიის ფორმალური სწავლებების შესაბამისად. ამრიგად, ბევრი ადამიანი საუბრობს საკუთარ სულიერებაზე და აწუხებთ კითხვა ბევრი პაციენტისთვის “რატომ მე? “ამ ტიპის საკითხები არსებითად რელიგიური ხასიათისაა. რელიგიური ადამიანები ზოგჯერ შემოთხუთებულნი არიან, რომ ავადმყოფობა დაკავშირებულია მათ ჩადენილ ცოდვასთან. დღეს რელიგიების უმეტესობა უარყოფს იმ აზრს, რომ ღმერთი გვსჯის ავადმყოფობით. ბევრი ადამიანი ემხრობა ალტერნატიულ შეხედულებას - რომ დაავადებები, როგორცაა კიბო, ცხად-ჰყოფს ბოროტების არსე-

ბობას მსოფლიოში. რელიგია გვაძლევს შესაძლებლობას დავეხმაროთ სხვებს და ამგვარად, სიკეთის ქმნით დავძლიოთ ბოროტება.

თეოლოგიებისა და რელიგიური ლიდერების უმეტესობა დღეს აცნობიერებს, რომ ამ კითხვებზე მარტივი პასუხები არ არსებობს. ისინი ასევე აღიარებენ, რომ კითხვა - “რატომ მე?” - ეს სინამდვილეში იმდენად კითხვა არ არის, რომელიც პასუხს მოითხოვს, რამდენადაც ემოციური და სულიერი ტკივილის ძახილი. ნაცვლად იმისა, რომ შეეცადონ ამ საკითხის გადაჭრას თეოლოგიური ფორმულებით, რომელთაც მცირე ნუგეში მოაქვთ, ისინი ცდილობენ პატივი სცენ ამ კითხვების მიღმა არსებულ ემოციურ ტკივილს და მიუთითონ შეებაზე, რწმუნებაზე და იმ ფართო პერსპექტივაზე, რომელიც შემოთავაზებულია რელიგიურ სწავლებებში.

ავადმყოფობის დროს ემოციური მხარდაჭერის ერთ-ერთი უდიდესი წყაროა ფსალმუნების წიგნი. მათთვის, ვინც იცნობს დასავლურ რელიგიურ კანონს, მეფსალმუნე საუბრობს თანაგრძნობით და კრიზისის დროს ემოციების მოზღვაების დიდი გაგებით. ამ მხრივ მართლაც, რომ ოქროს სიტყვებია 23-ე ფსალმუნში ნათქვამი: „დიახ, თუმცა სიკვდილის ჩრდილის ველზე ვივლი, არ მეშინია ბოროტების, რადგან შენ ჩემთან ხარ; შენმა არგანმა და შენმა კვერთხმა მანუგემოს მე“.

არსებობს არაერთი სიძნელე, რომელითაც „გარემოცულია“ სიმსივნით დაავადებული პაციენტები, კერძოდ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ. მათ აინტერესებთ, როგორ მოიქცნენ, როგორ იმოქმედონ ამ დროს. ჩანს, ცხოვრებისა და ფუნქციონირების ჩვეული რუტინა შეუსაბამო ან ბანალურია. რელიგია კვლავ გვეხმარება ქცევის მოდელების შერჩევაში იმ ღირებულებათა სადემონსტრაციოდ, რომლებიც ჩვენთვის მნიშვნელოვანია. რელიგია და სხვადასხვა სახის სწავლებები მითითებებს გვაძლევს, როგორ გაუმკლავდეთ ამ საკმაოდ დიდი სიძნელეს.

არსებობს არა ერთი რელიგიური რესურსი და პრაქტიკა, რომელიც გვეხმარება სიმსივნესთან გამკლავებაში ნუგეშით, თანაგანცდით...

ლოცვა, რომელსაც უდიდესი ძალა და რომელიც უდიდეს შეებას ჰგვრის ადამიანს მრავალი თვალსაზრისით. ის გვანუგეშებს, გვამხნევებს, და გვამშვიდებს. ლოცვისას ჩვენ განვიცდით ღმერთის ყოფნისა და ღვთიური სიყვარულის გრძნობას. ლოცვა და რიტუალი ჩვენში ღრმა გრძნობებს ეხება. ისინი საშუალებას გვაძლევენ გასაქანი მივცეთ ჩვენს ტკივილს, სიხარულს, მწუხარებას, დანაკარგს, იზოლაციას, გაუცხოებას და მარტოობას. ლოცვა აღვიძებს ჩვენში ახალგაზრდობის მოგონებებს, ოჯახის წევრებისა და ჩვენთან ხანგრძლივ ურთიერთობაში მყოფთა ხსოვნას.

ლოცვა, უდიდესი შეება ავადმყოფობის წინააღმდეგ.

რელიგიური საზოგადოება (მრევლი)უდიდესი და უძლიერესი მოკავშირე ჩვენს ცხოვრებაში, როგორც სულიერ ასევე არსებულ კრიზისებთან გამკლავებაში. მორწმუნე საზოგადოების წიაღიდან გამოსული ადამიანები, რომლებიც გვიცნობენ და ზრუნავენ ჩვენზე, მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან განკურნების პროცესში. გარდა მათი სიყვარულის და ღოცვების ეფექტურობისა, ასევე რელიგიურ თანამოაზრეებს შეუძლიათ პრაქტიკული დახმარებაც გაუწიონ სწეულს ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო ცხოვრებაშიც.

ერთი და მთავარი გახლავთ ის, რომ არ უნდა დავავიწყდეს და სათანადოდ უნდა შევაფასოთ სასულიერო პირების როლი და უდიდესი მნიშვნელობა სიმსივნესთან ბრძოლისას. ბევრი თვალსაზრისით, სასულიერო პირები იმედიანად და ძალიან კარგად მოქმედებენ ავადმყოფის ფსიქიკაზე, მათგან მოდის სიმშვიდე, ნუგეში და სულიერი მხარდაჭერა. როგორც თავიანთი არსებობით და გვერდში დგომით , ასევე დიდი მანუგეშებელი სიტყვებითაც.

მკურნალობის პრაქტიკა, რომელიც დაკავშირებულია რელიგიასთან და ფოკუსირებულია სიმსივნეზე და სხვა დაავადებებზე, დღეს ბევრად უფრო გავრცელებულია, ვიდრე ოდესმე.

არაერთმა ადამიანმა იპოვა შვება და სულიერი კურნება რელიგიის მეშვეობით.

ამრიგად, რელიგია და სულიერება ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტია. საყურადღებოა და ყურადსაღებია ბოლო გამოკითხვა, რომელმაც საინტერესო აჩვენა, რომ ადამიანების 59% მთელ მსოფლიოში მიიჩნევს თავს რელიგიურად, მიუხედავად იმისა, ესწრება თუ არა რეგულარულად რელიგიურ მსახურებებს.

1 რელიგია/სასულიერო პრაქტიკა (R/S) შეიძლება იყოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კიბოს დიაგნოზის მქონე პირებისთვის. National Health Interview Survey-მ დაადგინა, რომ კიბოთი დაავადებულთა 69%-მა აღნიშნა, რომ ღოცულობდა საკუთარი ჯანმრთელობისთვის.

2. R/S შეუძლია დაეხმაროს ონკოლოგიურ პაციენტებს იპოვონ აზრი თავიანთ ავადმყოფობაში.

3. უზრუნველყოფს შვებას ეგზისტენციალური შიშების წინაშე.

ყოველივე ზემოთ მონათხრობისა და მსოფლიოში ჩატარებული რეალური კვლევების მონაცემებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რაოდენ მნიშვნელოვანია ონკო პაციენტებში ფსიქოლოგიური, მორალური თუ რელიგიური მხარდაჭერა.

გამოყენებული ლიტერატურა;

1. Roca Perara, M. A., (1998), სოციალური დახმარება: მისი მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისთვის.
2. Roca, M. A. (2000) კლინიკური ფსიქოლოგია; ზოგადი ხედვა. სარედაქციო "ფელიქს ვარელა"
3. ნათაძე რ., წარმოსახვის განმანყოფელი მოქმედება, თბ., 1958
5. Kazdin, A. E. (Ed.) (2000). Encyclopedia of psychology. 8 Volume Set. Vol. 1
6. <https://ik-ptz.ru/ka/fizika/chto-takoe-medicinskaya-psihologiya-medicinskaya-psihologiya.html>
7. Bernstein, D. (1989)
8. <https://www.kucancercenter.org/news-room/blog/2019/10/psychology-cancer-patients>